

# **SEASONAL CHANGE OF SIZE AND DIRECTION OF NATURAL DRAFT IN RIKOTI ROAD TUNNEL**

Authors O. LANCHAVA, N. SHURADZE

Publication date 2006

Journal Science and technologies

Description Summary. With a purpose of an establishment of character of parameters change of natural draft in Rikoti road tunnel are carried out experimental supervisions. The depression of natural draft caused by the climatic factors is reduced to a difference of pressure at portals. The statistical parameters of natural draft and intensity of movement the automobiles are given. There is judged possible expediency of application of the longitudinal circuit of airing in the given tunnel.

Volume 160

Issue 1-3

Pages 94-97

ISSN 0130-7061



ესტილებუ და  
ტექნოლოგიები

№1-3, 2006

გამოდის 1949 ფლის 01 ნოემბრი

საქართველოს მთიანეთისა აკადემიის ქონილთა კიბრის  
სამსახური-რეცენზირობული ჟურნალი



№ 1-3 (639, 640, 641), 2006 წ.

MONTHLY SCIENTIFIC-REVIEWED MAGAZINE  
OF GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES  
ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ НАУЧНО-РЕФЕРИРОВАННЫЙ  
ЖУРНАЛ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

მთავარი რედაქტორი: აკადემიკოსი ვ. ჭავჭავაძე

**სარგებლობის კოლეგია:**

რ. ადამია, გ. ადეიშვილი, ბ. ბალავაძე, ა. ბეთანელი, ლ. გიორგიბიანი (პასუხისმგებელი მდგრადი), გ. გობეჩია (მთ. რედაქტორის პირველი მთადგილი), ა. დიდებულიძე, გ. ვარშალომიძე, თ. ზალიაშვილი, რ. თურმანიძე (მთ. რედაქტორის მთადგილი), ვ. კაშია, ე. მედმარიაშვილი, ა. მირიანაშვილი, მ. ნატიშვილი, გ. თენიაშვილი, ვ. პაპავა, გ. სალუჩვაძე, თ. ტაბუცაძე, ზ. ტატაშიძე, თ. ურუშაძე, თ. ვარგავაძე (მთ. რედაქტორის მთადგილი), ვ. ვიტევაძე, გ. ყიფაძე, გ. შანიძე, ა. ხელაშვილი, გ. ჯაბარიძე, გ. ჯიბლაძე.

**EDITOR - IN CHIEF:** Academician V. CHAVCHANIDZE

**EDITORIAL BOARD:**

R. Adamia, M. Adeishvili, B. Balavadze, A. Betaneli, L. Giorgobiani (Executive secretary), G. Gobechia (First Deputy Editor in Chief), A. Didebulidze, G. Varshalomidze, T. Zaalishvili, R. Turmanidze (Deputy Editor in Chief), V. Kashia, E. Medzmariašvili, A. Mirianashvili, O. Natishvili, G. Oniashvili, V. Papava, M. Salukvadze, T. Tabutsadze, Z. Tatashidze, T. Urushadze, T. Partsvania (Deputy Editor in Chief), K. Pitskhelauri, G. Kipiani, M. Kipshidze, M. Shanidze, G. Tsintsadze, A. Khelashvili (Deputy Editor in Chief), L. Japaridze, M. Jibladze.

**ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР:** Академик В. ЧАВЧАНИДЗЕ

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

Р. Адамия, М. Адеишвили, Б. Балавадзе, А. Бетанели, Л. Гиоргебиани (Ответственный секретарь), Г. Гобечия (Первый заместитель главного редактора), А. Дибуладзе, Г. Варшаломидзе, Т. Заалишвили, Р. Турманидзе (заместитель главного редактора), В. Кашия, Э. Медзмарияшвили, А. Мирианашвили, О. Натишвили, Г. Ониашвили, В. Папава, М. Салуквадзе, Т. Табуцадзе, З. Таташидзе, Т. Урушадзе, Т. Парцвания (заместитель главного редактора), К. Пичхелаури, Г. Кипиани, М. Кипшидзе, М. Шанидзе, Г. Цинцадзе, А. Хелашвили (заместитель главного редактора), Л. Джапаридзе, М. Джиладзе.

რედაქციის მისამართი: 380060, თბილისი, კ. გამსახურდის გამზ. 34. ტელ. 37-99-13.

ხელმოწერილია დასაბუქდად 28.02.2006. ფორმატი  $70 \times 108^1/16$ , ტირაჟი 300.

ელ. ფოსტა: Scitech@gw.acnet.ge.

<http://www.acnet.ge/publicut.htm>

© „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1-3, 2006 წ.

ბუნებრივი ტეპის სიღიღისა და მიმართულების სიზოდური ცვალებადობა  
რიგოთის სააგთომობილო გვირაბში

(ო. ლანჩაგა, ნ. შურამე

(სამართველოს ფინანსური უნივერსიტეტი)

საუდელტებილო გვირაბებში ბუნებრივი წევა განპირობებულია პორტალების განვითარების ადგილის კლიმატურ ზონათა განსხვავებულობით, გარემომცველ ქანთა მასივთან თბომასაგაცვლის გამო გვირაბში პარამეტრებისა და ფარდობითი ტენიანობის ცვალებადობით ატმოსფერულთა შედარებით და სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობით. ბუნებრივი წევის დეპრესია შეიძლება წარმოვადგინოთ ჯამის სახით

$$h_n = h_p + h_{t,\varphi} + h_{tr}, \quad (1)$$

სადაც  $h_n$  არის ბუნებრივი წევის დეპრესიის სრული სიდიდე, პა;  $h_p$ ,  $h_{t,\varphi}$ ,  $h_{tr}$  – შესაბამისად ატმოსფერული წნევის სხვაობით, ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის ცვალებადობით და სატრანსპორტო საშუალებათა გადაადგილებით აღძრული მდგრენლები, პა.

არსებითი ისაა, რომ გვირაბის სავნენტილაციო სისტემებზე ყოველთვის მოქმედებს ბუნებრივი წევა, რომელიც სეზონურად იცვლის სიდიდესა და მიმართულებას. შედარებით ნაკლები ამპლიტუდა ახასიათებს დღედამურ ცვალებადობას, რომელიც, ისევე როგორც სეზონური ცვალებადობა, სინუსოიდურთან მიახლოებული კანონზომიერებით ხასიათდება.

აღნიშნული კანონზომიერების რაოდენობრივი მხარის დადგენა კონკრეტული გვირაბისათვის და სავნენტილაციო სისტემის მისაღაბება ბუნებრივი წევის ცვალებადობასთან, სისტემის ეკონომიკურობის, ეფექტიანობისა და მდგრადობის წინაპირობაა. სავნენტილაციო სისტემა იდეალურია, როცა პარამეტრის ნაკადის მოძრაობის მიმართულება თან ხედება ბუნებრივი წევის მიმართულებას, პარამეტრის ჭავლი აღძრულია ბუნებრივად და ხელოვნურად ხდება მხოლოდ იმ რაოდენობის დამატება, რაც აუცილებელია გამოყოფილი ტოქსიკური ნაეროების უსაბროთხო კონცენტრაციამდე დასაყვანად. იდეალური სისტემა ტექნიკურად მნელი განსახორციელებელია, მაგრამ თანამედროვე მმართველ-საკონტროლო აპარატურის გამოყენებით შესაძლებელია იდეალურთან მეტ-ნაკლები მიახლოება, ე.ი. გვირაბების უფრო ეკონომიური განიავება იმ შემთხვევასთან შედარებით, როცა ბუნებრივი წევის გათვალისწინება არ ხდება.

ბუნებრივი წევის გამოვლენის თავისებურება ისაა, რომ პიდროსტატიკურ წნევათა სხვაობა ენერგიის სახით ნაკადს გადაეცემა არა მარტო მის რომელიმე ერთ წერტილში, არამედ მთელ სიგრძეზე. აღნიშნულის გამო ბუნებრივი წევის დეპრესიის უშუალო გაზომვა რომელიმე წერტილში შეუძლებელია, რადგან ნაკადის ყველა წერტილში მისი სიდიდე ნულს უტოლდება. მაშასადამე, ბუნებრივი წევის გავლენა შეიძლება შეგადაროო უსასრულოდ მცირე დეპრესიის მქონე ვირტუალური ვენტილატორების ერთობლივ მუშაობას, როცა მათი რაოდენობა (η) უსასრულოდ დიდია, ხოლო ყოველი ვენტილატორის დეპრესია მიისწრაფვის ნულისაკენ. მაშასადამე,

$$h = \frac{h_n}{n}, \quad (2)$$

სადაც  $h$  არის ერთი ვირტუალური ვენტილატორის დეპრესია (პა) და როცა  $n \rightarrow \infty$ ,  $h \rightarrow 0$ . ამ შემთხვევაში მიღებული ენერგიის აუმჯოლირება ნაკადში არ ხდება, ის იქვე ისარჯება აეროდინამიკური წინაღობის გადალახვაზე და ატმოსფერული წნევის სხვაობის დაფიქსირება გვირაბის ხებისმიერ წერტილში მოძრავი ნაკადის შემთხვევაში შეუძლებელია. ამიტომ ბუნებრივი დეპრესიის გასაზომად საჭიროა სავნენტილაციო ნაკადის მოძრაობის შეწმება კეთილ სრული გადაღობით, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ჩარჩოზე გადაჭიმული ბრეზენტის მეშვეობით. ბრეზენტი

შეიზნიქება იმ მხრიდან, საიდანაც არის ბუნებრივი წევა, ხოლო გადაღობების ორივე მსარეს დეპრესიონული მიღებულ განაზომთა სხვაობა არის კლიმატური ფაქტორებით განაირობებული წევის დეპრესია ( $h_p + h_t, \varphi$ ). პარალელურად პორტალებთან მიერობარომეტრით გაზომილ წნევათა სხვაობა არის კლიმატურ ზონათა განსხვავებულობით განპირობებული დეპრესია ( $\Delta P = h_p$ ) და შესაძლოა როგორც დეპრესიის განსახილევლი თრი ძირითადი მდგრენელის ჯამური ეფექტის, ისე მათი დიუკრენცირებული განხილვა.

მოელი სირთულე კი ისაა, რომ გვირაბში პაერის და ტრანსპორტის მოძრაობის პერიოდული შეზღუბა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შევძლით და სხვა გზა ავირჩიეთ. კერძოდ, რადგანაც ვიციო, რომ  $h_t, \varphi$  შეადგენს საერთო დეპრესიის 1–5 %-ს [1, 2], დეპრესია ( $h_p + h_t, \varphi$ ) მივაკუთვნეთ მხოლოდ  $h_p$ -ს და  $h_t, \varphi$ -ის სიდიდე მხედველობაში არ მივიღეთ. ამ შემთხვევაში დავუშვიო მაქსიმუმ 5 %-იანი ცდომილება, რაც აპრობირებული მეთოდების ვენტილაციის საინჟინირო გაანგარიშებისას მისაღებად მიგვაჩინა.

აღსანიშნავია, რომ ჩატარებული ექსპერიმენტული დაკვირვებისას ერთდროულად იზომებოდება ბარომეტრული წნევა ორივე პორტალთან და პაერის ხარჯი გვირაბში. დაკვირვებებისათვის შერჩეული იყო დაზის საათები, როცა ტრანსპორტის მოძრაობა გვირაბში შეზღუდული იყო და უმეტეს შემთხვევაში (დაკვირვებების პროცესში) საერთოდ არ მოძრაობდა. ამავე დროს შესაძლებელი იყო ვენტილატორების ჩართვა-გამორთვა. დღის განმავლობაში ვაგროვებდით სტატისტიკურ მონაცემებს ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობის შესახებ, რომელთა შედეგების ნაწილი მოცემულია 1-ლ ცხრილში. აქ მოცემულია გვირაბში აგტომობილების საშუალო, მაქსიმალური და მინიმალური რაოდენობა, საშუალო კვადრატული გადახრა (σ), მედიანა (Me), მოდა (Mo) და მოძრაობის უთანაპორობის კოუფიცენტი ( $K_{\eta}$ ) დღის განმავლობაში 9–21 სთის შუალედში. შედეგები დამუშავდულია სტანდარტული პროგრამის სამართებით.

ექსპერიმენტული დაკვირვებების შედეგები ბუნებრივი წევის ( $h_p + h_t, \varphi$ ) სეზონური ცვალებადობის სახით მოცემულია 1-ლ ნახ-ზე, ხოლო პაერის შესაბამისი ხარჯი – მე-2 ცხრილში:


აღსანიშნავია, რომ გამჭოვი ვენტილატორის ჩართვით ფრთაზე, საიდანაც იყო მიმართული ბუნებრივი წევა (ნახ. 2), სავარტილაციო პაერის ხარჯი მხოლოდ 40 მ<sup>3</sup>/წთ გაიზარდა (ცხრილი 2, №№ 4 და 8).

საქმე ისაა, რომ დასავლეთიდან მიმართული ბუნებრივი წევა ეხმარება იმავე ფრთაზე მომუშავე ვენტილატორს, რომელიც ნამუშევარ პაერს გაიწოვს საგნატილაციო არხიდან, დასავლეთის პორტალის პირალის პირალი ქმნის დამატებით შეწოვის ეფექტს და ეწინააღმდეგება მეორე ფრთაზე მომუშავე ვენტილატორს. ნულოვანი ბუნებრივი წევის შემთხვევაში ორივე ვენტილატორის მწარმოებლურობა დაახლოებით 100 მ<sup>3</sup>/წთ (მისი ნომინალური სიღიღე)

### ც ხ ი ლ ი 1.

ტრანსპორტის მოძრაობის სტატისტიკური პარამეტრები რიკოთის გვირაბში

| წელი   | აგტომირობილების რაოდენობა |       |      | σ     | Me  | Mo  | $K_{\eta}$ |
|--|---------------------------|-------|------|-------|-----|-----|------------|
|  | საშუალო                   | მაქს. | მინ. |       |     |     |            |
| ბენზინით მომუშავე ძრავებიანი მსუბუქი მანქანები               |                           |       |      |       |     |     |            |
| 1986   | 263                       | 480   | 118  | 118,3 | 252 | -   | 2,35       |
| 1997   | 277                       | 334   | 219  | 35,6  | 274 | -   | 1,39       |
| 2004   | 261                       | 326   | 194  | 45,0  | 252 | 241 | 1,52       |
| ბენზინით მომუშავე ძრავებიანი აგზობუსები და საჩიროო მანქანები |                           |       |      |       |     |     |            |
| 1986   | 52                        | 81    | 25   | 15,9  | 51  | 38  | 1,37       |
| 1997   | 55                        | 92    | 29   | 16,1  | 50  | 50  | 1,35       |
| 2004   | 52                        | 66    | 38   | 9,0   | 56  | 39  | 1,52       |
| დიზელის ძრავიანი აგზობუსები, მსუბუქი და სატერიტო მანქანები   |                           |       |      |       |     |     |            |
| 1986   | 21                        | 35    | 13   | 6,2   | 21  | 13  | 1,90       |
| 1997   | 23                        | 33    | 17   | 4,6   | 25  | 25  | 1,60       |
| 2004   | 50                        | 61    | 43   | 6,0   | 51  | 44  | 1,36       |
| საერთო რაოდენობა   |                           |       |      |       |     |     |            |
| 1986   | 336                       | 589   | 165  | 130,1 | 324 | -   | 2,17       |
| 1997   | 355                       | 400   | 281  | 38,4  | 359 | 400 | 1,32       |
| 2004   | 364                       | 425   | 277  | 51,0  | 344 | 423 | 1,42       |



ნახ. 1. ბუნებრივი წევის ( $h_p + h_{t,\varphi}$ ) სეზონური ცეალებადობა რიკოთის გვირაბში.  
იქნებოდა. დაკვირვების შედეგები ცხადყოფს, რომ ვენტილატორის ამოქმედებით, რომელმაც დასავლეთის პორტალის სავალ ნაწილში დამატებითი დეპრესია შექმნა, პაერის ხარჯი დასავლეთის ფრთაზე ეკვივალენტურად არ გაიზარდა. ამის მიზეზად მიგვაჩნია წარმოდგენილი გრძივ-განივი სქემის ნაკლი. აღნიშნული ძალაში რჩება აგრეთვე აღმოსავლეთის ფრთის ვენტილატორისათვის იმ შემთხვევაში, როცა ბუნებრივი წევა მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.


პაერის ხარჯის გაზრდის ოვალსაზრისით, პირველ შემთხვევაში უფრო მეტ ეფექტს მოგეცემდა აღმოსავლეთის ფრთაზე არსებული ვენტილატორის ჩართვა,

## ც ხ ი ლ ი 2.

რიკოთის გვირაბში ექსპურმენტული დაკვირვებებით დადგნილი პაერის ზოგიერთი პარამეტრი

| Nº | თარიღი   | პორტალი | V, მ³/მ | Q, მ³/წ  | $\Delta P$ , კა | ნაკადის მიმართულება |
|----|----------|---------|---------|----------|-----------------|---------------------|
| 1  | 22.09.97 | აღმოს.  | 2,14    | 128,4    | 25,2            | დასავლეთიდან        |
| 2  | 23.09.97 | აღმოს.  | 2,11    | 126,6    | 24,5            | დასავლეთიდან        |
| 3  | 23.09.97 | დასავლ. | 2,05    | 123,0    | 23,1            | დასავლეთიდან        |
| 4  | 23.09.97 | დასავლ. | 2,71    | 162,6*   | 23,1            | დასავლეთიდან        |
| 5  | 04.12.03 | აღმოს.  | 2,07    | 124,4*** | -21,1           | აღმოსავლეთიდან      |
| 6  | 15.12.03 | დასავლ. | 2,11    | 126,6    | 24,5            | აღმოსავლეთიდან      |
| 7  | 28.12.03 | აღმოს.  | 2,40    | 144,0    | -37,1           | აღმოსავლეთიდან      |
| 8  | 28.12.03 | აღმოს.  | 3,12    | 187,0**  | -37,1           | აღმოსავლეთიდან      |
| 9  | 15.01.04 | აღმოს.  | 2,38    | 142,7    | -32,2           | აღმოსავლეთიდან      |
| 10 | 03.02.04 | აღმოს.  | 2,10    | 125,9    | -24,2           | აღმოსავლეთიდან      |
| 11 | 03.03.04 | აღმოს.  | 1,48    | 88,6     | -8,9            | აღმოსავლეთიდან      |
| 12 | 05.04.04 | აღმოს.  | 0       | -        | 2,4             |                     |
| 13 | 30.04.04 | აღმოს.  | 1,54    | 92,1     | 10,0            | დასავლეთიდან        |
| 14 | 31.05.04 | აღმოს.  | 2,01    | 120,4    | 19,8            | დასავლეთიდან        |
| 15 | 26.06.04 | აღმოს.  | 2,17    | 130,2    | 24,6            | დასავლეთიდან        |
| 16 | 27.06.04 | დასავლ. | 2,31    | 138,9    | 30,2            | დასავლეთიდან        |
| 17 | 27.07.04 | დასავლ. | 2,34    | 134,2    | 28,4            | დასავლეთიდან        |
| 18 | 22.08.04 | აღმოს.  | 2,40    | 144,1    | 37,3            | დასავლეთიდან        |
| 19 | 02.09.04 | აღმოს.  | 2,10    | 123,1*** | 21,2            | დასავლეთიდან        |
| 20 | 12.10.04 | აღმოს.  | 1,55    | 93,2     | 10,2            | დასავლეთიდან        |
| 21 | 02.11.04 | აღმოს.  | 0       | -        | -2,1            |                     |
| 22 | 30.11.04 | აღმოს.  | 1,57    | 94,3     | -10,1           | აღმოსავლეთიდან      |

შენიშვნა: \* – დასავლეთის ფრთაზე მუშაობს ერთი ვენტილატორი; \*\* – აღმოსავლეთის ფრთაზე მუშაობს ერთი ვენტილატორი; \*\*\* – აღმოსფერული ნალექი წვიმის ან თოვლის სახით.



ნახ. 2. რიკოთის საავტომობილო გვირაბის ვენტილაციის პრინციპული სქემა.

რომელიც თავის ნომინალურ მწარმოებლურობას ( $100 \text{ м}^3/\text{წ}$ ) განავვთარებდა, რაც დაემატებოდა ბუნებრივი წევით აღძრულ ხარჯს და შეადგენდა  $123 \text{ м}^3/\text{წ}$ -ს (ცხრილი 2, № 3). ამ შემთხვევაში წარმოდგენილი გრძივგანივი სქემა უაქტობრივად იმუშავებდა გრძივი სქემის პრინციპით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რიკოთის გვირაბის განიველის გრძივ სისტემაზე გადაყვანის აუცილებლობას.

ესპერიმენტული დაკვირვებების შედეგების მიხედვით შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნება:

1. ბუნებრივი წევის დეპრესიის სეზონური ცვალებადობა რიკოთის გვირაბში სინუსოიდურთან მიახლოებული კანონზომიერებით ხასიათდება.

2. სავანტილაციო სისტემის მდგრადობის, ეკონომიურობისა და საიმედოობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მისი გადაყვანა გრძივ სქემაზე.

#### ლიტერატურა—REFERENCES—ЛИТЕРАТУРА:

1. Eugenio A. Merzagora. The World's longest Tunnel Page (The Internet).
2. Gunnar Lotsberg. Content of BHR Group Publication. Summary of paper presented at the 9<sup>th</sup> International conference on Aerodynamics and Ventilation of Vehicle Tunnels held in Aosta Valley, Italy, 6–8 October, 1997.

#### AEROLOGY

#### SEASONAL CHANGE OF SIZE AND DIRECTION OF NATURAL DRAFT IN RIKOTI ROAD TUNNEL

O. LANCHAVA, N. SHURADZE  
(GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY)

##### Summary

With the purpose of an establishment of character of parameters change of natural draft in Rikoti road tunnel are carried out experimental supervisions. The depression of natural draft caused by the climatic factors is reduced to a difference of pressure at portals. The statistical parameters of natural draft and intensity of movement the automobiles are given. There is judged possible expediency of application of the longitudinal circuit of airing in the given tunnel.

#### АЭРОЛОГИЯ СЕЗОННОЕ ИЗМЕНЕНИЕ ВЕЛИЧИНЫ И НАПРАВЛЕНИЯ ЕСТЕСТВЕННОЙ ТЯГИ В РИКОТСКОМ АВТОМОБИЛЬНОМ ТОННЕЛЕ

О. ЛАНЧАВА, Н. ШУРАДЗЕ  
(ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ)

##### Резюме

С целью установления характера изменения параметров естественной тяги в Рикотском автодорожном тоннеле проведены экспериментальные наблюдения. Депрессия естественной тяги, обусловленная климатическими факторами, сводится к разности давлений у порталов. Приведены статистические параметры естественной тяги и интенсивности движения транспорта. Делается вывод о возможной целесообразности применения продольной схемы проветривания в данном тоннеле.

|   |     |
|---|-----|
| <b>М. Бибилиури, р. Гоголадзе – Расчет свободно опирающейся на контур пологой цилиндрической оболочки, загруженной моментами, распределенными вдоль краев</b>         | 74  |
| <b>სამშენებლო წარმოების ფაქტოლოგია – BUILDING PRODUCTING TECHNOLOGY – ТЕХНОЛОГИЯ СТРОИТЕЛЬНОГО ПРОИЗВОДСТВА</b>   |     |
| ა. შენგელია – კურტიკალური ტანასპორტის ბაზირების სიმტკიცის გაანგარიშების საკითხისთვის  | 78  |
| I. Shengelia – To question of the rope solidity calculation of vertical transport   | 78  |
| И. Шенгелия – К вопросу расчета прочности тросов вертикального транспорта   | 78  |
| <b>სამშენებლოა – BUILDING – СТРОИТЕЛЬСТВО</b>   |     |
| ა. მშენებელიაძე, გ. ფარცხალაძე, ბ. სურაშვილი – წინასწარ დაძირული ლითონის კონსტრუქციების მიმოხილვა და კლასიფიკაცია   | 81  |
| I. Mshvenieradze, G. Partskhaladze, B. Surguladze – Prestressed metal constructions review and their classification   | 81  |
| И. Мшвениерадзе, Г. Пархаладзе, Б. Сургуладзе – Обзор и классификация предварительно-напряженных металлических конструкций  | 81  |
| <b>სამშენებლო მასალები – BUILDING MATERIALS – СТРОИТЕЛЬНЫЕ МАТЕРИАЛЫ</b>  |     |
| ლ. ჯოშელიაშვილი – ძირი ზომის ბეტონის ბლოკების დამსაღებების თანამდერთვე ტექნილიგია   | 88  |
| L. Jimsheleishvili – The modern technology of the concrete small blocks receiving   | 88  |
| ლ. ჯიმშელეშვილი – Современная технология изготовления малых бетонных блоков   | 88  |
| <b>სამშენებლო კონსტრუქციები – BUILDING CONSTRUCTIONS – СТРОИТЕЛЬНЫЕ КОНСТРУКЦИИ</b>   |     |
| ბ. ლეჯავა, ა. სოხაძე, დ. დანელია – მყინვარული ზემოქმედების დროს სტატიურად უცვევის ლეროვანი კონსტრუქციების კლასტრების მასარებელი ნაჩარდების განსაზღვრა                 | 91  |
| G. Lezhava, A. Sokhadze, D. Danelia – The tension accretion determination in elements of statical indefinite pivotal constructions at the momentary influence         | 91  |
| Г. Лежава, А. Сохадзе, Д. Данелия – Определение приростов напряжений в элементах статически неопределенных стержневых конструкций при мгновенном воздействии          | 91  |
| <b>აეროლოგია – AEROLOGY – АЭРОЛОГИЯ</b>   |     |
| ო. ლანჩავა, ნ. შურაძე – ბუნებრივი წევის სიდიდისა და მძართულების სეზონური ცვალებადობა რიცონის სავაჭრომასილო გვირაბში   | 94  |
| O. Lanchava, N. Shuradze – Seasonal change of size and direction of natural draft in Rikoti road tunnel   | 94  |
| О. Ланчава, Н. Шурадзе – Сезонное изменение величины и направления естественной тяги в Рикотском автомобильном тоннеле  | 94  |
| <b>აკოლოგია – ECOLOGY – ЭКОЛОГИЯ</b>  |     |
| გ. გავარდაშვილი, გ. ჩახაია – მდინარე თხილვანის წყალშემცრებ აუზში 2005 წლის ზაფხულში ჩატარებული საკვეთ-საეკსპედიციო კვლეულების შესახებ                                 | 98  |
| G. Gavardashvili, G. Chakhaia – About the field-researches held in the water catchment basin of the river Tkhilvana in summer 2005                                    | 98  |
| Г. Гавардашвили, Г. Чахаиа – О полево-экспедиционных исследованиях, проведенных летом 2005 года на водосборном бассейне реки Тхилвана                                 | 98  |
| <b>გამოიყენება სამართლებულებებისა და ინტელექტუალური რესურსების სამსახურში – USE OF NATUR – ПРИРОДОПОЛЬЗОВАНИЕ</b>   |     |
| გ. გობეგია – ბუნებრივი და ინტელექტუალური რესურსები ქვეყნის სამსახურში   | 103 |
| G. Gobegia – The Natural and intellectual resources on the country's service  | 103 |
| Г. Гобегия – Природные и интеллектуальные ресурсы на службе страны  | 103 |
| <b>საინჟინერო გეოლოგია – ENGINEERING GEOLOGY – ИНЖЕНЕРНАЯ ГЕОЛОГИЯ</b>  |     |
| ა. გოგიაშვილი – ქ. თბილისის თიხოვანი თაბაშირშეცვლელ გრუნტებში სუფრზეური პროცესების განვითარების კანონმოქმედების შესახებ   | 106 |
| I. Gogichaishvili – The regularities of the development of the suffosional deformations in gyps-bearing clayey soils of c. Tbilisi                                    | 106 |
| И. Гогичаишвили – Закономерности развития суффозионных деформаций в гипсонасных глинистых грунтах г. Тбилиси  | 106 |
| <b>გეოგრაფია – GEOGRAPHY – ГЕОГРАФИЯ</b>  |     |
| კ. კობახიძე, ლ. სანებლიძე – სახატავო-მეთოდური მეცნიერებულ გეოგრაფიული კომპლექსური სასტაციო-საკვლეულ პრაგბიის ჩასახავებლად თბილისი-კოჯორის გარშეუება                   | 110 |
| Ts. Kobakhidze, L. Saneblidze – Teaching Methodological guide in Physical Geography, to be conducted the complex teaching field practice at the Tbilisi-Kojeti route  | 110 |
| Ц. Кобахидзе, Л. Санебладзе – Учебно-методический путеводитель на маршруте Тбилиси-Коджори для проведения комплексной учебно-полевой практики по физической географии | 110 |